შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

30.08.2018 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლება ქუჩა III, #11 (ს.კ. 01.19.36.002.046) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლება ქუჩა III, #11 (ს.კ. 01.19.36.002.046). შენობა 11 სართულიანია 1 მიწისქვეშა და 10 მიწისზედა სართულით.

მშენებარე შენობას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საპროექტო შენობასთან მიახლოებულია დაახლოებით 5მ-ის მანძილზე, სამხრეთის მხრიდან (სკ.01.19.36.020.056; სკ.01.19.36.002.001) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები დაახლოებით 8-10 მეტრის მოშორებით, აღმოსავლეთის მხრიდან ახალაშენებული მრავალბინიანი სახცოვრებელი სახლები დაახლოებით 5-8 მეტრის მოშორებით (სკ01.19.36.020.041, სკ01.19.36.020.053). ჩრდილოეთის მხრიდან გამოდის ნაკაშიძე-ბოლქავაძის ქუჩაზე.

მშენებარე შენობის ტიპი არის კარკასულ-კავშირებიანი (დიაფრაგმული) სისტემის, რომლის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონში.

ნაგებობის დაფუძნება გადაწყვეტილია საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილის მეშვეობით, ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა თიხნარ გრუნტში არის R0=2.2კგ/სმ^2. გრუნტის კედლების მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს შენობის პერიმეტრზე გრუნტის უკუჩაყრა და მძლავრად დატკეპნა სრულ გამყარებამდე, რათა მოხდეს შენობის დაფიქსირება გრუნტში.

მომიჯნავედ არსებული შენობა ნაგებობების კონსტრუქციული შეფასება არ გაკეთბულა რადგან მათი მდგომარეობა ვიზუალურად დამაკმაყოფილებელია და ამასთანავე მშენებარე შენობა კონსტრუქციულად იზოლირებულია არსებული შენობებისგან, რის გამოც მშენებარე შენობა არსებულ შენობა ნაგებობების მდგრადობაზე არ იქონიებს გავლენას.

კონსტრუქციული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ხიმინჯების ფარდის მოწყობა ნაკვეთის წითელი ხაზის გასწვრის. ხიმინჯების დიამეტერი 300მმ, ხიმინჯები მიწის ნიშნულზე შეკრულია მონოლითური რკინაბეტობის როსტვერკით რომლის ზომებია 300X400მმ. გარდა ამისა პროექტით გათვალისწინებულია ქავბულის დამჭერი ლითონის კონსტრუქცია ე.წ. გამბრჯენები. 4270მმ სიგრძის მილკვადრატი განივკვეთის ზომებით 140x140x5 რომელიც შეყუდებულია 42^0-იანი კუთხით, ყოველ 750მმ-ში ხიმინჯოვანი ფარდის გასწვრივ.

დასკვნა:

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ასევე მათი დაფუძნების პირობებიდან. ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს, როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ"-ის
მთ. კონსტრუქტორი:





დავით გიგინეიშვილი
მშენებლობის მაგისტრი